სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზურაბ ძლიერიშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**17**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**93**	**100**

თარიღი : 16.09.2024 წ

ტრისტან ზენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ზურაბ ძლიერიშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის **ზურაბ ძლიერიშვილის** შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციასა და 2024 წლის 5 სექტემბერს კანდიდატთან ზურაბ ძლიერიშვილთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u> სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის ზურაბ ძლიერიშვილის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი, არც საკრედიტო ისტორია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის

აგვისტოდან 2024 წლის აგვისტოს პერიოდში კანდიდატის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ ფიქსირდება.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის პიროვნულ და პროფესიულ კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნებას და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო მოკრძალებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ, მიუკერძოებელ პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ გამოირჩევა სამართლიანობით და პიროვნული სიმტკიცით.

ზურაბ ძლიერიშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად და საჯარო მოსმენისას, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალების ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და ობიექტურად.

გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებით და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია, მართავს საკუთარ ემოციებს. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა კორექტულობას.

კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული რესპოდენტები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის თავდაჭერილობას, კორექტულობას და ა.შ.. მიუთითებენ, რომ კანდიდატს ახასიათებს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ძლიერიშვილის მიმართ დისციპლინური დეცნა არ დაწყებულა. დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის ზურაბ ძლიერიშვილის მხარედ მონაწილეობის ფაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

ზურაბ ძლიერიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ გახმაურებულ საქმეებთან, განხილული საქმეების რაოდენობასთან, პედაგოგიურ საქმიანობასთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან, მოსამართლედ განწესებასთან, დანამატებსა და სარგოებთან დაკავშირებით. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით.

5. ფინანსური ვალდებულება:

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ზურაბ ძლიერიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი, არც საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელ'ხე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ორი ბინა, თბილისში, 35 მ2 და 44 მ2; სარდაფი, თბილისში, 13.6 მ2, მიწის ნაკვეთი 7560 მ2, დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მჭადიჯვარი; მიწის ნაკვეთი (33%) 1252 მ2, დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.მჭადიჯვარი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

მიმაჩნია რომ, არ არსებობს შეუსაბამობა კანდიდატის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებას.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **ზურაბ ძლიერიშვილის** (როგორც სამოსამართლო უფლებამოსილების მქონე კანდიდატის) შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების არალიზსა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას</u>.

შეფასების პროცესში შესწავლილი იქნა კანდიდატის მიერ წარმოდგენილი, მის მიერ განხილულ 7 საქმეზე მიღებული განჩინებები, კერძოდ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-898-848-2015, 9 მარტი 2016 წელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-559-2019, 4 დეკემბერი 2019 წელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-372-2023, 6 ოქტომბერი 2023 წელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-483-2023, 18 ოქტომბერი 2023 წელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-907-2023, 10 ოქტომბერი 2023 წელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-359-2023, 13 ოქტომბერი 2023 წელი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება №ას-1392-2023, 25 იანვარი 2024 წელი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განჩინებების შესწავლის შემდეგ შემძლია დავასკვნა, რომ ზურაბ ძლიერიშვილი სამოქალაქო სამართლის მიმართულებით კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. მისი ცოდნა თვალსაჩინოა ზოგადად ევრონული და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით.

საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

კანდიდატის საჯარო მოსმენით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი მაღალ დონეზე ფლობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს. კანდიდატი არსებითად ადეკვატურად აცნობიერებს განხილული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. მისი პასუხები თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო, ასევე გაჯერებული იყო პრაქტიკული გამოცდილებით.

საბოლოო ჯამში, კანდიდატის მიერ ყველა დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხების შეჯამების შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი სიღრმისეულად იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u>

ზურაბ ძლიერიშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თითქმის 10 წლიანი გამოცდილება.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ კანდიდატის მოსაზრებები, განსაკუთრებით სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო, არის არგუმენტირებული. მიმაჩნია, რომ მისი ცოდნა საფუძვლიანი და თვალსაჩინოა, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის სფეროში.

3. წერის უნარი - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

ზურაბ ძლიერიშვილის მიერ წარმოდგენილი განჩინებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ნათლად იკვეთება, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი, რაც გამოიხატება იმაში, რომ მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად იყენებს რთულ წინადადებებს. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა. თუმცა შეინიშნებოდა მცირედი სტილისტური, პუნქტუაციური უზუსტობები.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

მიმაჩნია, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ზოგადად, დატოვა კორექტული

ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და დამაჯერებლად.

5. <u>პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)</u> – <u>მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის შესახებ არსებულ სტატისტიკურ ინფორმაციას საქმეთა განხილვის თაობაზე, პრესასა და მედია საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას, მის ქცევას სასამართლო სხდომის წარმართვისას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

მიმაჩნია, რომ ზურაბ ძლიერიშვილი მიზანდასახული, პრინციპული, საქმისადმი ერთგული, ემოციურად გაწონასწორებული, კეთილსინდისიერი, თავშეკავებული პიროვნებაა.

საქმის განხილვის საპროცესო ვადებს კანდიდატი იცავს სათანადოდ, ვადის დაცვით - 98.6%; გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის მაჩვენებელი - 100%; საანგარიშო პერიოდში (984 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 402 საქმე.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.
შესაბამისად მიმაჩნია, რომ ზურაბ ძლიერიშვილი სამოსამართლო უფლებამოსილებას ასრულებს წარმატებით და კეთილსინდისიერად.

6. <u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u> - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.</u>

ზურაბ ძლიერიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. ამასთან, იგი 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იკავებდა ადმინისტრაციულ თანამდებობას. კანდიდატი არის სამართლის დოქტორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, სამართლის სფეროში არაერთი წიგნის/სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორია.

7. <u>პროფესიული აქტივობა</u> - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების</u>

წინამე მის დამსახურებას, აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას.

ზურაბ ძლიერიშვილმა მონაწილეობა მიიღო არაერთ ღონისძიებებში, მათ შორის: სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა, წინანდალი, დეკემბერი 2023 წელი; სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch – georgischen Diskurs", Universität Des Saarlands, Saarbrüken, Germany - 25-26 October, 2023 წელი, მომხსენებელი/მონაწილე, „Materialler Schadenersatz bai Verkehrunfällen" (სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ზიანის ანაზღაურება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოწვევები); საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე: „კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები: ევროპული დისკუსი და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის", თსუ/ალტე უნივერსიტეტი, სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი (CoLE), 3 ოქტომბერი, 2023 წელი; ფორუმი თემაზე: „გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული „ბენჩბუქის" მომზადება" USAID/PROLoG, კაქრეთი, საქართველო, 15-17 სექტემბერი, 2023 წელი; სემინარი - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა, ლოპოტა, ივნისი, 2023 წელი და ა.შ..

როგორც აღინიშნა, კანდიდატი 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ასევე არის სხვადასხვა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადოქტორო სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი/რეცენზენტი/ოპონენტი. ამასთან, იგი აქტიურად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 93 ქულას.

თარიღი : 26.09.2024 წ.

ხელმოწერა: